# ეგვიპტეში რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და კოპტურ ეკლესიას შორის აკადემიური თანამშრომლობის განვითარების შესახებ მოლაპარაკებების მესამე რაუნდი გაიმართა

2021 წლის 11-17 ოქტომბერს ეგვიპტეში მოსკოვის საპატრიარქოსა და კოპტურ ეკლესიას შორის აკადემიურ სფეროში თანამშრომლობის განვითარების შესახებ, ორმხრივი დიალოგის კომისიის საქმიანობის ჩარჩოში, მოლაპარაკებების მესამე რაუნდი გაიმართა.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ლოცვა-კურთხევით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციას სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორი, პეტერგოფის ეპისკოპოსი სილუანე ხელმძღვანელობდა. დელეგაციაში ასევე შედიოდიდნენ მოსკოვის

საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების ქრისტიანთაშორისი ურთიერთობების მდივანი, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და კოპტურ ეკლესიას შორის დიალოგის კომისიის მდივანი, მღვდელმონაზონი სტეფანე (იგუმნოვი); მოსკოვის სასულიერო აკადემიის სასწავლო საქმეების პრორექტორი, მღვდელი პავლე ლიზგუნოვი; პეტერბურგის სასულიერო აკადემიის სასწავლო საქმეების პრორექტორი, დეკანოზი ვლადიმერ ხულაპი; სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ბიბლიის შემსწავლელი განყოფილების გამგე დეკანოზი დიმიტრი იურევიჩი; პეტერბურგის სასულიერო აკადემიის უძველესი ენების კათედრის გამგე მღვდელმონაზონი ბართლომე (მაგნიტსკი); მოსკოვის სასულიერო აკადემიის ორიენტალიზმის კაბინეტის ხელმძღვანელი დიაკონი სერგი პანტელეევი; სანკტ-პეტერბურგის სამიტროპოლიტოს პროტოკოლის განყოფილების თავმჯდომარე, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პედაგოგი ი. ნ. სუდოსი; სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ასპირანტი ი.ა. ჩერნიხი.

დელეგაციამ კოპტური ეკლესიის წამყვანი სასულიერო სკოლები მოინახულა, შეხვდა მათ ხელმძღვანელებსა და სტუდენტებს. კერძოდ, ქაიროში რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებმა წმინდა ათანასე ალექსანდრიელის სახელობის კოპტური სასულიერო სემინარია მოინახულეს, სადაც მათ რექტორი, ეპისკოპოსი მიქაელი, ქაიროში საპატრიარქოს პირველი ვიკარიუსი მიესალმა. სტუმრებმა სემინარიის აუდიტორიები და საკლასო ოთახები დაათვალიერეს და მის სასწავლო პროცესს გაეცნენ. სემინარიის ახალ სააქტო დარბაზში 2019 წლის ნომებერში რუსეთში გამართული მოლაპარაკებებისწინა რაუნდის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებების განხორციელების პროცესი და ორ ეკლესიას შორის აკადემიური თანამშრომლობის სფეროში შემდგომი გეგმები განიხილეს.

მომდევნო დღეს მოსკოვის საპატრიარქოს დელეგაციის წევრები კოპტურ კვლევების ინსტიტუტს ეწვივნენ, სადაც მის დირექტორთან დოქტორ ისხაკ იბრაჰიმ აგბანთან და პროფესორ-მასწავლებლების შემადგენლობასთან მოლაპარაკებები გამართეს. ინსტიტუტში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები კოპტურ ეკლესიაში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების სფეროს და, ასევე, საეკლესიო ხელოვნების განვითარებას გაეცნენ.

მოლაპარაკების მესამე პუნქტი კოპტური ეკლესიის სასულიერო აკადემია გახდა, სადაც წამოჭრილ იქნა ორი ეკლესიის უმაღლესი საფეხურის სასულიერო განათლების შორის თანამშრომლობის თემატიკა.

შემდეგ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო სასწავლებლების დელეგაციამ ეგვიპტის ერთ-ერთი უდიდესი სემინარია მოინახულა, რომელიც ასიუტის პროვინციის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ელ-მუჰარაკის მონასტერში მდებარეობს. სტუმრებს მისი რექტორი, ეპისკოპოსი ვუკოლი მიესალმა, რომელმაც 2021 წლის აგვისტო-სექტემბერში კოპტური ეკლესიის მონასტრების დელეგაციის მეთაურის რანგში რუსეთში თავისი ბოლო ვიზიტი გაიხსენა. შეხვედრა შედგა მონასტერში განთავსებული სემინარიის ხელმძღვანელობასთან, სტუდენტებთან და მონასტრის ძმებთან. შეხვედრის ფარგლებში ისაუბრეს რუსული და კოპტური ეკლესიების საგანმანათლებლო სისტემის სიახლოვეზე, სამონასტრო მემკვიდრეობის საერთოობაზე, რომელიც წმინდა ანტონი დიდის ტრადიციებზეა დაფუძნებული.

რუსული დელეგაციის წევრები ელ-მუჰარაკის მონასტრის მთავარ ტაძარს ეწვივნენ, რომელიც დაარსებულია იმ ადგილას, სადაც კოპტური ეკლესიის გადმოცემის თანახმად, წმინდა ოჯახი ეგვიპტეში

გაქცევის დროს ექვს თვეზე მეტ ხანს იმყოფებოდა. ეგვიპტეში გავრცელებული ვერსიით, სწორედ ამ ადგილის შესახებ იუწყებოდა წინასწარმეტყველი ესაია, როდესაც ამბობდა, რომ „**იყოს საკურთხეველი უფლისაჲ სოფელსა მეგჳპტელთასა**“ (ეს. 19.19).

ვიზიტის ფარგლებში, რუსეთის ეკლესიის დელეგაციამ ასევე ქაიროს სიწმინდეები მოილოცა: მონამეთა სერგისა და ბაქოსის ტაძარი, გამოქვაბულის ის ტაძარი, სადაც წმინდა ოჯახი გაჩერდა, დიდმონამე ბარბარეს ტაძარი, მუალიაკას ეკლესია („დაკიდებული“) და წმინდა ძლევაშემოსილი გიორგის დედათა მონასტერი. დელეგაცია თბილად მიიღეს წმინდა ანტონი დიდის მონასტერში და წმინდა პავლე თებაიდელის მონასტერში, სადაც სტუმრებს საზეიმოდ მიესალმა მონასტრის წინამძღვარი, მონასტრებისა და მონაზვნების საკითხთა საქმეებში კოპტების პატრიარქის თანაშემწე, ეპისკოპოსი დანიელი.

მოგზაურობის ფარგლებში დელეგაციას თან ახლდნენ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და კოპტურ ეკლესიას შორის დიალოგის სამუშაო ჯგუფის წევრები – ლოს-ანჯელესის ეპარქიის ვიკარიუსი ეპისკოპოსი კირილე და ელ-მუჰარაკის მონასტრის მკვიდრი, ქაიროს კოპტური სასულიერო სემინარიის აღმზრედლობითი საქმეების პრორექტორი მღვდელმონაზონი ბენიამინი.

*სსკგ-ს კომუნიკაციის სამსახური*

---

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88280/